ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ე.ტ. №187-19

ქ. თბილისი **27 სექტემბერი, 2019 წელი**

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, ალექსანდრე თევდორაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),

მის.: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12
საიდენტიფიკაციო კოდი: 211 343 982
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

და მეორე მხრივ, **შპს** „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION", წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის, მიხეილ ჯოჯიშვილის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი)

მის.: საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველა, VII კვ., კორპ. №9, ბ. №18
საიდენტიფიკაციო კოდი: 404878405
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE13TB7940736050100001

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები",

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 16[1] მუხლის პირველი პუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (NAT190015249) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და მისი შესაბამისი CPV კოდი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს **საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის კმ84-კმ98 მონაკვეთზე (კმ 96, კმ 97 და კმ 98) ახალი სახიდე გადასასვლელების პროექტირება-მშენებლობა** (შემდგომში - სამუშაო).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 45221111 - საავტომობილო ხიდების მშენებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1`197`866.00 (**ერთი მილიონ ას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას რვაას სამოცდაექვსი**) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, მათ შორის, სამშენებლო სამუშაოს ღირებულება შეადგენს 1 144 646.60 (**ერთი მილიონ ას ორმოცდაოთხი ათას ექვსას ორმოცდაექვსი ლარი და 60 თეთრი**) ლარს, საპროექტო მომსახურების ღირებულება შეადგენს 34 339.40 (**ოცდათოთხმეტი ათას სამასოცდაცხრამეტი**

ლარი და 40 თეთრი) ლარს, ხოლო, ხიდის გამოკვლევა-გამოცდა შეადგენს 18 880.00 (**თვრამეტი ათას რვაას ოთხმოცი**) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მუხლი 3. საპროექტო მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

1. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალების შესაბამისად გასწიოს საპროექტო მომსახურება, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს, 180 (ასოთხმოცი) კალენდარული დღისა, ტექნიკური დავალებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით.

2. მიმწოდებელი ვალდებულია, ტექნიკურ დავალებაში განსაზღვრული შესაბამისი ვადების გათვალისწინებით უზრუნველყოს პროექტის ზედამხედველთან შეთანხმება და შემსყიდველთან დასამტკიცებლად წარდგენა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის მომზადება იწარმოებს მიმწოდებლის ადგილსამყოფლის მიხედვით ან/და საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი ობიექტის ადგილას.

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი

1. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალების შესაბამისად, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გაგზავნილი სამუშაოების დაწყების შესახებ შეტყობინების თარიღიდან, 180 (**ას ოთხმოცი**) **კალენდარული დღის ჩათვლით**.

2. მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოს დაწყება უზრუნველყოს ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის შემსყიდველის მიერ შეთანხმების შემდგომ, შემსყიდველის მიერ გაგზავნილი შესაბამისი წერილობითი შეტყობინებაში განსაზღვრული თარიღიდან.

3. მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოს შესრულების გეგმა- გრაფიკის შესაბამისად.

4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის შემსყიდველის მიერ შეთანხმებიდან 20 (**ოცი**) **კალენდარული დღის** განმავლობაში, მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის ზედამხედველთან შეთანხმება და შემსყიდველთან წარდგენა. აღნიშნული გეგმა-გრაფიკი დაერთვება ხელშეკრულებას დანართის გაფორმების გზით. შემსყიდველისთვის წარდგენილი გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ვადები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოს შესრულების ვადას.

5. სამუშაოს შესრულება იწარმოებს ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილზე.

მუხლი 5. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობები

1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების მიერ (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის თანხა შეადგენს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2,5 %-ს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

4. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით,

რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შედეგად, აგრეთვე, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისა და შემსყიდველის მიერ ამ შესრულების მიღების შემდეგ, შემსყიდველი ვალდებულია, დაუბრუნოს მიმწოდებელს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს, აამოქმედოს ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით.

7. შემსყიდველის მიერ, ხელშეკრულების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

8. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კერძოდ, ხელშეკრულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია, მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება და შემსყიდველს წარუდგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცვლილება/ახალი საბანკო გარანტია).

მუხლი 6. ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. საპროექტო მომსახურებასთან დაკავშირებით ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შემსყიდველის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელი ვალდებულია, ანგარიშსწორებისას წარუდგინოს შემსყიდველს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულება (დამატებული ღირებულების და სხვა გადასახადების გათვალისწინებით).

3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელება ეტაპობრივად, გამსხვილებულ ხარჯთაღრიცხვაში განსაზღვრული თითოეული სამუშაოს სრულად დასრულების შემდეგ, ხარჯთაღრიცხვაში განსაზღვრული ღირებულებების ფარგლებში. სამუშაოსთან დაკავშირებით ანგარიშსწორების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია, გამსხვილებულ ხარჯაღრიცხვაში განსაზღვრული განფასებების შესაბამისად, შემსყიდველს წარუდგინოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით) საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის მითითებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების და უცხოური საწარმოს ფილიალის სს „ინსტიტუტი იგჰ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 406187692) (შემდგომში - ზედამხედველი) მიერ დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) გაფორმების, შემსყიდველის მიერ გადახდის სერთიფიკატისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველის მიერ ანაზღაურდება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების მათ შორის, შემსყიდველთან შეთანხმებული შესრულებული გაუთვალისწინებელი

სამუშაოების ღირებულება, რომელთა მოცულობასა და ხარისხზე არსებობს ზედამხედველის მიერ დადასტურებული ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი.

5. გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე, შემსყიდველთან შეთანხმებით.

6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ, არ შეადგინა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გამსხვილებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამის თავში მითითებული სამუშაოს ღირებულება, შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს ფაქტობრივი შესრულების ღურებულებას, მაგრამ არაუმეტეს გამსხვილებულ ხარჯაღრიცხვაში განსაზღვრული განთვასებების შესაბამის თავში მითითებული ღირებულებისა.

მუხლი 7. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (შემდგომში - ავანსი) გადახდის თაობაზე.

2. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.

3. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მოთხოვნის წარდგენის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულების ღირებულების 20% ან მეტი.

4. შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების მიერ (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) გაცემული, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გადასახდელი ავანსის დაქვითვამდე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრული ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია თეთრ სიაში (შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი), მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების მიერ (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) გაცემულ ავანსის ნახევარი ოდენობის საბანკო გარანტიას, რომელიც ძალაში უნდა იყოს გადასახდელი ავანსის დაქვითვამდე და აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7. მიმწოდებლისთვის გადასახდელი ავანსი ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20 %-ს.

8. შემსყიდველის მიერ გადახდილი ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$Z = \frac{A*(X\%-Y\%)}{70 - 20}$$

Z = არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;

A = წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;

X = წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის შესრულებულ სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.

Y = არის (X) წინა პერიოდისათვის.

9. გადახდილი ავანსის დაკავება განხორციელდება მას შემდეგ, როცა შესრულებული სამოშაოების მოცულობა მიაღწევს 20%-ს, ხოლო გადახდილი ავანსის სრულად დაქვითვა განხორციელდება, როცა შესრულებული სამუშაოების მოცულობა შეადგენს 70%-ს.

10. გადახდილი ავანსის დაქვითვა ასევე შესაძლოა განხორციელდეს წინსწრებით.

11. მიმწოდებელი ვალდებულია, ავანსი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

12. შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტით განსაზღვრული საბანკო გარანტია, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელებას ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გადახდილი ავანსი ან მისი ნაწილი.

13. ავანსის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ.

მუხლი 8. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა

1. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებიდან 2 (ორი) წელს.

2. შესრულებული სამუშაოზე საგარანტიო ვადის ამოწურვის ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით დაფიქსირებული შესაბამისი ხარვეზების აღმოფხვრა ევალება მიმწოდებელს. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოფხვრა.

3. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის პირველი ნახევრის (2.5%) დაბრუნება მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს სრულად დასრულებისა და ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს დეფექტ(ებ)ი და არ გაფორმდება სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ობიექტი არ იქნება გაგზავნილი ექსპლუატაციაში მისაღებად ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად და მიმწოდებელს ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის პირველი ნახევარი არ აუნაზღაურდება სამუშაოს დეფექტ(ებ)ის გამოსწორებამდე.

5. მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უზრუნველყოს დაფიქსირებული დეფექტ(ებ)ის გამოსწორება. დაფიქსირებული დეფექტ(ებ)ის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელის დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

6. იმ შემთხვევაში, თუ საგარანტიო პერიოდის ჩათვლით დაფიქსირებული დეფექტე(ებ)ის აღმოფხვრას მიმწოდებელი ვერ/არ უზრუნველყოფს, შემსყიდველი მიმწოდებელს არ აუნაზღაურებს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის მეორე ნახევარს (2.5 %) და დააკისრებს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

7. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული მეორე ნახევრის (2.5 %) დაბრუნება მოხდება საგარანტიო ვადის 2 (ორი) წლის გასვლის შემდეგ, თუ ობიექტზე არ იქნა აღმოჩენილი შესაბამისი დეფექტ(ებ)ი და თუ შემსყიდველის ან/და ზედამხედველის მიერ დეფექტ(ებ)ის არარსებობის შესახებ შემსყიდველისთვის, ზედამხედველის ან/და შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ან/და შემსყიდველის მიერ შექმნილი შესაბამისი კომისიის, მიერ წარდგენილ იქნა შესაბამისი აქტი, რომლითაც დადასტურდება საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ დეფექტ(ებ)ის არარსებობა.

8. იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ/არ უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტში აღნიშნული დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრას, შემსყიდველი ზედამხედველთან ერთად შეაფასებს ამ დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრისათვის ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულებას.

9. თუ ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტში აღნიშნული დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრისათვის საჭირო თანხა აღემატება სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულ თანხას, შემსყიდველი უფლებამოსილია სრულად გამოითხოვს ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრულ ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის თანხა სრულად ვერ ფარავს დეფექტების აღმოფხვრისათვის საჭირო თანხას, შემსყიდველი უფლებამოსილია დამატებით მოსთხოვოს მიმწოდებელს აღნიშნული სხვაობის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. შემსყიდველი უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული 2.5% მიმწოდებელს დაუბრუნოს ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული პირველი 2.5%-ის გადახდის შემდეგ, საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების მიერ გაცემულ 2.5%-ის ოდენობის საბანკო გარანტიას და შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი საზედამხედველო ორგანიზაციის მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს მისი გაცემის დროს სამუშაოს დეფექტ(ებ)ის არარსებობას.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს საბანკო გარანტიით განსაზღვრული სრული თანხა. აღნიშნული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საგარანტიო ვადას 60 (სამოცი) კალენდარული დღით.

მუხლი 9. საპროექტო მომსახურების და სამუშაოს შესაბამისობა

1. ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული საპროექტო მომსახურება მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს ჯეროვნად, ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმების, წესების და შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაო მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის, ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი (არსებობის შემთხვევაში) ნორმებისა და წესების და შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში განსაზღვრული წესებიდან და ნორმებიდან მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს საპროექტო მომსახურება ან/და სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

4. კონცეპტუალურ პროექტში, რაიმე სახის სამუშაოების გაუთვალისწინებლობა ან/და მასში არსებული უზუსტობა ან/და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შემსყიდველთან შეთანხმება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს მის მიერ მომზადებული დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის სისრულის, სისწორისა და მოქმედ სამშენებლო ნორმებთან/სტანდარტებთან და შესაბამის სპეციფიკაციებთან შესაბამისობის პასუხისმგებლობისაგან, როგორც უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, ასევე ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციის თვალსაზრისით.

მუხლი 10. საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო საპროექტო დოკუმენტაციის (ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად) ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველის ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების შემდგომ, დგება საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რის საფუძველზეც

შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2. საპროექტო მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

3. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული ან მიმდინარე საპროექტო მომსახურების ინსპექტირების შედეგები უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია, უარი განაცხადოს საპროექტო მომსახურების მიღებაზე და ანაზღაურებაზე.

4. გაწეული საპროექტო მომსახურების მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი და/ან საჭირო შემთხვევებში დასაპროექტებელი ობიექტი.

5. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული საპროექტო მომსახურების მოცულობას და ხარისხს.

6. საპროექტო მომსახურებას შემსყიდველის მხრიდან იბარებს შემსყიდველის სტრუქტურული ქვედანაყოფი - საპროექტო სამსახური ან მისი უფლებამონაცვლე.

7. მიმწოდებელი უფლებამოსილია დეტალურ საპროექტო დოკუმენტაციაში ხარჯთაღრიცხვა ჩაშალოს გამსხვილებულ თავებად, სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული ფორმით, ისე რომ თავებში განსაზღვრული სამუშაოების ჯამური ღირებულება არ აღემატებოდეს სატენდერო ხარჯთაღრიცხვის შესაბამისი თავის ღირებულებას. გამსხვილებული ხარჯთაღრიცხვის ჩაშლილი თავების განფასება უნდა იყოს პროპორციულად გადანაწილებული სამუშაოთა სირთულისა და მოცულობების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი თავის განფასება მკვეთრად განსხვავდება არსებული საბაზრო ფასისგან და იწვევს გონივრულ ეჭვს, შემსყიდველი უფლებამოსილია დააზუსტებინოს მიმწოდებელს შესაბამისი ფასის წარმოშობის ადეკვატურობა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან შესაბამის სფეროში აკრედიტებული სხვა პირის მეშვეობით.

8. ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გრაფიკი შესაბამისობაში უნდა იყოს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ გამსხვილებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამის თავებში განსაზღვრული სამუშაოებითან, ასეთი ხარჯთაღრიცხვის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 11. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ხორციელდება შუალედურად შესრულებული სამუშაოების წარდგენა.

2. მიმწოდებლის მიერ შუალედურად შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი (ფორმა №2)) გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების შემდეგ.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ სამუშაოების წარმოების პროცესში მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილ შესრულებულ სამუშაოებს (ფორმა №2) ჩაუტაროს ექსპერტიზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან შესაბამის სფეროში აკრედიტებული სხვა პირის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო დასკვნასა და შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) შორის აღმოჩნდება ცდომილება, მიმწოდებელი ვალდებულია, აუნაზღაუროს შემსყიდველს აღნიშნულ საექსპერტო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები.

4. ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ზედამხედველი, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ შუალედურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

5. დასრულებული სამუშაოს მიღებას შემსყიდველი ახორციელებს ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველსა და ზედამხედველს სამუშაოს დასრულების შესახებ. ზედამხედველი ამოწმებს დასრულებული სამუშაოს მოცულობას და მისი დადასტურების შემთხვევაში მიმართავს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად შესაბამისი უწყებისათვის მიმართვამდე,

შესრულებული სამუშაოების მიღების მიზნით სპეციალური კომისიის ჩამოყალიბების თაობაზე. სპეციალური კომისია სამუშაოების მიღებას ახორციელებს შესაბამისი სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით.

7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება ხორციელდება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 12. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სამუშაოს შესრულების და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) სამუშაო და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულების მე-3 და მე-4 მუხლებში და ხელშეკრულებაზე თანდართულ ტექნიკურ დავალებაში განსაზღვრულ ვადებში და პირობებით;

გ) საჭიროების შემთხვევაში, მოამზადოს საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემები, ასევე, შემსყიდველთან საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემის შეთანხმებამდე და შეთანხმებული სქემით განსაზღვრული ტექნიკური საშუალებებით უსაფრთხო საგზაო მოძრაობის რეგულირებამდე, არ დაიწყოს ისეთი სამუშაოების წარმოება, რომელმაც შეიძლება, ზემოქმედება იქონიოს საგზაო მოძრაობაზე;

დ) განათავსოს დროებითი საგზაო ნიშნები, საგზაო მონიშვნა, საგზაო ბარიერები და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებები დამტკიცებული და შეთანხმებული საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემის შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს სხვა ისეთი აუცილებელი ზომები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, რომლებსაც მოითხოვს სამუშაოები;

ე) უზრუნველყოს საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემით განსაზღვრული საგზაო ნიშნების, საგზაო მონიშვნის, ბარიერების და საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების სუფთა და თვალსაჩინო მდგომარეობაში არსებობა; დააყენოს, გადაიტანოს, დაფაროს ან აიღოს ისინი სამუშაოს მიმდინარეობის შესაბამისად, შემსყიდველთან და ზედამხედველთან შეთანხმებით;

ვ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წერილობით შეუთანხმოს შემსყიდველს გარემოსდაცვითი მმართველი იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის სამუშაოები წლის განმავლობაში წარმოქმნის ნებისმიერი მოცულობის სახიფათო ნარჩენს, 200 ტონაზე მეტ არასახიფათო და 1000 ტონაზე მეტ ინერტულ ნარჩენს;

ზ) იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ მიმწოდებლის მიერ დაგეგმილი სამუშაოებიდან რომელიმე კონკრეტული სამუშაოს განხორციელებისათვის მიმწოდებელს არ აქვს მოპოვებული საჭირო დოკუმენტაცია ან ნებართვა, მიმწოდებელი ვალდებულია, სათანადო დოკუმენტაციის ან ნებართვის მოპოვებამდე შეაჩეროს აღნიშნული სამუშაოს განხორციელება და დაუყოვნებლივ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მათ მოსაპოვებლად;

თ) უზრუნველყოს ავტოტრანსპორტის მოძრაობის რეჟიმის შეცვლის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადაცემა შემსყიდველის სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის - ინფრასტრუქტურის განვითარებისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის სამსახურისთვის ან მისი უფლებამონაცვლისთვის;

ი) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებისას და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების გაწევისას იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობის, საპროექტო დოკუმენტაციის, სპეციფიკაციების, ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალების და ხელშეკრულების სხვა პირობების შესაბამისად;

კ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იქონიოს მუდმივი კავშირი შემსყიდველის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან - ინფრასტრუქტურის განვითარებისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის სამსახურთან ან მის უფლებამონაცვლესთან;

ლ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა;

მ) სამუშაოების შესრულებაში და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების გაწევაში მონაწილე მიმწოდებლის საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70% დააკომპლექტოს საქართველოს მოქალაქეებით;

ნ) მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და გაწეული საპროექტო მომსახურების და შესასრულებელი ან/და შესრულებული სამუშაოების შესახებ;

ო) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

პ) იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ითვალისწინებს ქონების შეფასებას, შემფასებელი (სერთიფიცირებული) ექსპერტის კანდიდატურა შეათანხმოს შემსყიდველთან და ქონების შეფასების დოკუმენტი წარადგინოს მისი და შემფასებელი ექსპერტის ხელმოწერით;

ჟ) საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს მისი და შესაბამისი სპეციალისტის (ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ტექნიკური გადაწყვეტილების მიმღები) მიერ ხელმოწერილი სახით;

რ) უზრუნველყოს სამშენებლო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ს) დაიცვას ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოსდაცვითი დოკუმენტები და უზრუნველყოს სამუშაოების წარმოება მათი გათვალისწინებით;

ტ) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება.

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განიხილოს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, დოკუმენტაციის მიღებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

3. საპროექტო დოკუმენტაციის სისრულეზე და სისწორეზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში გამოიკვეთა საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების განხორციელების აუცილებლობა, რომელიც მიმწოდებელს უნდა გაეთვალისწინებინა საპროექტო დოკუმენტაციაში და არ წარმოადგენს მისგან დამოუკიდებელ მიზეზს, საპროექტო ცვლილებით გამოწვეული სამუშაოების ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების პირველ მუხლში გათვალისწინებულ ადგილზე მიმწოდებლის მიზეზით, შემსყიდველთან/შესაბამის უფლებამოსილ პირთან შეუთანხმებლად, საგზაო მოძრაობის დროებითი შეწყვეტისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს და ზიანის წარმოშობის შემთხვევაში მის ანაზღაურებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯით.

5. მიმწოდებელი ვალდებულია, საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასალები გადასცეს შემსყიდველს მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი მასალებისა და ჯართის სახით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. ამ პუნქტში გათვალისწინებული მასალების ფაქტობრივი რაოდენობა დგინდება ზედამხედველის მიერ ადგილზე შესაბამისი აქტის გაფორმების შემდეგ. მიმწოდებელი ვალდებულია ამ პუნქტით განსაზღვრული უკან დასაბრუნებელი მასალების მოვლა-შენახვა უზრუნველყოს საკუთარი ძალებითა და ხარჯით, მათი სხვა ადგილას განთავსებამდე, ან შემსყიდველის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესამისად მათ განკარგვამდე ან გამოყენებამდე.

მუხლი 13. კონტროლი (ინსპექტირება)

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, გაწეული საპროექტო მომსახურების და შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს შემსყიდველი ან/და ზედამხედველი.

2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება). გაწეული საპროექტო მომსახურების ტექნიკური მონიტორინგი და ვადების დაცვის კონტროლი ევალება შემსყიდველის სტრუქტურულ

ქვედანაყოფს საპროექტო სამსახურს ან მის უფლებამონაცვლეს, კომპეტენციის ფარგლებში - გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურს ან მის უფლებამონაცვლეს, ხოლო, შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი და ვადების დაცვის კონტროლი ევალება შემსყიდველის სტრუქტურულ ქვედანაყოფს აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურს ან მის უფლებამონაცვლეს, ხოლო, ფინანსური მონიტორინგი - შემსყიდველის ფინანსების მართვის სამსახურს ან მის უფლებამონაცვლეს.

3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

5. სამუშაოების და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების მიმდინარეობაზე შემსყიდველი ან/და ზედამხედველი კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, საპროექტო დოკუმენტაციის, სპეციფიკაციების, ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს სამუშაოების ან/და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

6. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების კონტროლის (ინსპექტირება) მიზნით შერჩეული სხვა პირ(ებ)ის მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად აღიწერება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზ(ებ)ი, რის შემდგომაც შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ აამოქმედოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. თუ მიმწოდებლის წარმომადგენელი უარს აცხადებს ამ პუნქტში აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი.

7. სამუშაოების ან/და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, თავისი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას დეფექტ(ებ)ი. სამუშაოების ან/და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტ(ებ)ით შესრულებული სამუშაოების/მომსახურების ღირებულება.

8. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან, შესრულებულ სამუშაოთა შემსყიდველისთვის წარდგენილი მოცულობები შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მიმწოდებელს აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითხს ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 15. პასუხისმგებლობა

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება, გარდა ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვული შემთხვევისა.

2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია, ამ პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა უზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს და შემსყიდველს შორის არ იქნა მიღწეული შეთანხმება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე 10 (ათი) დღით ადრე და მიმწოდებელი ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე 10 (ათი) დღით ადრე ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების დასრულებას, შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სრული ოდენობით.

4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირაგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს გაწეული საპროექტო მომსახურების ან შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

7. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

8. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნითა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მოთხოვნებითა და პირობებით (მათი არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

9. ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 16. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისგან.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულები გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულებაზე თანდართული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხა/ვადა და მიმწოდებელმა შემსყიდველს არ წარუდგინა ახალი საბანკო გარანტია;

ვ) ხელშეკრულებით და ტექნიკური დავალებით განსაზღვრული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განმეორებით დაირღვა მიმწოდებლის მიერ;

ზ) მიმწოდებელმა განმეორებით დაარღვია ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი;

თ) მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;

ი) ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად დადგინდა ცდომილება შემსყიდველისთვის წარდგენილ (გადამოწმებულ) შესრულებულ სამუშაოებზე (ფორმა №2);

კ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

ლ) ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაო სრულად გადასცა ქვეკონტრაქტორს;

მ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. შემყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მისთვის მიღებელი აღმოჩნდა მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული საპროექტო დოკუმენტაცია და შემსყიდველის მითითებების მიუხედავად, მიმწოდებელმა არ უზრუნველყო ამ ხელშეკრულებაზე დართული და სატენდერო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული კონცეპტუალური პროექტის მასალების შესაბამისად დამუშავებული დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

7. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ხელშეკრულების მე-5 მუხლში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

მუხლი 17. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 18. ქვეკონტრაქტორები და მიმწოდებლის პერსონალი

1. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ქვეკონტრაქტორისთვის სრულად გადაცემა.

2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაბამისი სამუშაოს ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ისგან და აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე შემყიდველთან პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 180 (ასოთხმოცი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს სამუშაოების განმახორციელებელი პერსონალის ზედამხედველთან შეთანხმება, შესაბამისი პერსონალის სახელის, გვარის, დაკავებული პოზიციის მითითებით. ზედამხედველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია მიმწოდებლის პერსონალთან დაკავშირებით.

მუხლი 19. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, დეპეშის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - info@georoad.ge) ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 20. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის, ფასების გადასინჯვის აუცილებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში. ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

5. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი -შემსყიდველთან და ერთი პირი - მიმწოდებელთან).

8. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხარჯთაღრიცხვა და ტექნიკური დავალება თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2022 **წლის** 21 **სექტემბრის** ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე (საგარანტიო პერიოდის სრულ დასრულებამდე).

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ალექსანდრე თევდორაძე

Digitally signed by Roads Department of Georgia
Date: 2019.10.03 16:24:09 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“

Mikheil Jojishvili

Digitally signed by Mikheil Jojishvili
Date: 2019.10.03 12:09:15 +04'00'

მიხეილ ჯოჯიშვილი

GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION LLC

Digitally signed by GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION LLC
Date: 2019.10.03 12:10:12 +04'00'

საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის კმ84-კმ98 მონაკვეთზე (კმ 96, კმ 97 და კმ 98) მდ. მოშევანზე ახალი სახიდე გადასასვლელების პროექტირება-მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა

1	ხიდი კმ 96-ზე			
№	სამუშაოს/მომსახურების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ღირებულება
1	2	3	4	5
1.1	დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა	ლარი	1	8,221.19
1.2	ხიდის მშენებლობა	ლარი	1	274,039.49
1.3	ხიდის გამოკვლევა-გამოცდა	ლარი	1	5,000.00
	სულ	ლარი		287,260.68
	დღგ 18%	ლარი		51,706.92
	სულ ხარჯთაღრიცხვით	ლარი		338,967.60

2	ხიდი კმ 97-ზე			
№	სამუშაოს/მომსახურების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ღირებულება
1	2	3	4	5
2.1	დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა	ლარი	1	11,190.00
2.2	ხიდის მშენებლობა	ლარი	1	373,000.00
2.3	ხიდის გამოკვლევა-გამოცდა	ლარი	1	6,000.00
	სულ	ლარი		390,190.00
	დღგ 18%	ლარი		70,234.20
	სულ ხარჯთაღრიცხვით	ლარი		460,424.20

3	ხიდი კმ 98-ზე			
№	სამუშაოს/მომსახურების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ღირებულება
1	2	3	4	5
3.1	დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა	ლარი	1	9,690.00
3.2	ხიდის მშენებლობა	ლარი	1	323,000.00
3.3	ხიდის გამოკვლევა-გამოცდა	ლარი	1	5,000.00
	სულ	ლარი		337,690.00
	დღგ 18%	ლარი		60,784.20
	სულ ხარჯთაღრიცხვით	ლარი		398,474.20

სულ 3 ხიდის ჯამური ღირებულება	**1,197,866.00**

* ზემოაღნიშნულ განფასებაში წარმოდგენილი თითოეული პოზიცია მოცემულია ყველა დამხმარე სამუშაოების გათვალისწინებით, როგორც ეს ტექნიკურ სპეციფიკაციებსა და ნახაზებში არის განსაზღვრული.

შპს ,,Georgian Bridge Construction" - ს აღმასრულებელი
დირექტორი: მ. ჯოჯიშვილი

GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION LLC
Digitally signed by GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION LLC
Date: 2019.09.06 13:11:09 +04'00'

Mikheil Jojishvili
Digitally signed by Mikheil Jojishvili
Date: 2019.09.06 13:12:08 +04'00'

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის კმ84-კმ98 მონაკვეთზე (კმ 96, კმ 97 და კმ 98) ახალი სახიდე გადასასვლელების პროექტირება-მშენებლობის

ტექნიკური დავალება

ქ. თბილისი
2019 წელი

ზოგადი ინფორმაცია

1. ტენდერში წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია წარმოადგენს კონცეპტუალურ პროექტს. პრეტენდენტი ვალდებულია გამარჯვების შემთხვევაში მოცემული კონცეპტუალური პროექტის მასალებზე დაყრდნობით დაამუშაოს დეტალური პროექტი, ან მოამზადოს ალტერნატიული დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია.
2. ტექნიკური დავალება ითვალისწინებს, მიმწოდებლის მიერ, ტექნიკური აღწერილობის ნაწილი 1-თა და ნაწილი 2-ით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას. ნაწილი 1 ეხება დეტალური პროექტის მომზადებას, ხოლო ნაწილი 2 - სამშენებლო სამუშაოების წარმოებას.
3. მიმწოდებელს აქვს უფლება დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების შემდეგ, შესრულებული სამუშაოების ეტაპობრივად ანაზღაურების მიზნით, შემსყიდველთან შეთანხმებით ხარჯთაღრიცხვა ჩაიშალოს გამსხვილებულ თავებად, ისე რომ მათი საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სატენდერო ხარჯთაღრიცხვის შესაბამისი თავის ღირებულებას (იხილეთ თანდართული ნიმუში). ხარჯთაღრიცხვის ჩაშლილი თავების განფასება უნდა იყოს პროპორციულად გადანაწილებული სამუშაოთა სირთულისა და მოცულობების შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი თავის განფასება მკვეთრად განსხვავდება, არსებულ საბაზრო ფასებთან მიმართებაში და იწვევს გონივრულ ეჭვს შემსყიდველი იტოვებს უფლებას მიმწოდებლის დააზუსტებინოს შესაბამისი ფასის წარმოშობის ადეკვატურობა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან შესაბამის სფეროში აკრედიტებული სხვა პირის მეშვეობით. გადახდის გრაფიკი უნდა დადგინდეს დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შემსყიდველთან შეთანხმების დროს, რომელიც შემდგომში კორექტირებას არ დაექვემდებარება.

ნიმუში			
N	სამუშაოები	განზ.	ღირებულება (ლარში)
1	დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა		
2	ხიდის მშენებლობა		
2.1	დროებითი გზისა და ხიდის მოწყობა		
2.2	არსებული ხიდის დემონტაჟი		
2.3	ბურჯების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები		
2.4	ბურჯების ტანის მოწყობის სამუშაოები		
2.5	მალის ნაშენის მოწყობის სამუშაოები		
2.6	სარეგულაციო ნაგებობების მოწყობის სამუშაოები		
2.7	ხიდზე სავალი ნაწილის მოწყობის სამუშაოები		
2.8	გზის კუთვნილება და მოწყობილობა		
3	ხიდის გამოკვლევა-გამოცდა		

ტექნიკური აღწერილობა

ნაწილი I.

წინამდებარე ტექნიკური დავალება აღწერს მიმწოდებლის მიერ შესასრულებელ გასაწევ მომსახურებას, დავალების მიზნებს, მისი შესრულებისათვის საჭირო სამოქმედო პრინციპებს, საშუალებებსა და ძირითად საბაზისო მონაცემებს.

1. გამარჯვებული კომპანიის მიერ შემუშავებული დეტალური პროექტი უნდა იყოს სრულ ადეკვატურობაში ან გააჩნდეს გაუმჯობესებული ტექნიკური მახასიათებლები კონცეპტუალურ პროექტთან მიმართებაში.
2. მიმწოდებლის მიერ პროექტის ალტერნატიური ვარიანტის წარმოდგენის შემთხვევაში, ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მის მიერ ტენდერში დაფიქსირებულ საკონტრაქტო ფასს. ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს ტენდერში დაფიქსირებული ერთეულის ფასებით.
3. დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდგომ, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო მასალების წარმოდგენა შემსყიდველთან, მათ შორის: ტექნიკური დოკუმენტაცია, ექსპერტიზის დასკვნა (*კონსტრუქციული, საიჟინრო-გეოლოგიური და საგზაო ნაწილის ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იქნას აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ, ან დასკვნის ხელმომწერი ექსპერტები დარეგისტრირებულნი უნდა იყვნენ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში)* გზშ, განსახლების გეგმა და სხვა. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. მიმწოდებელი ვალდებულია:
   განიხილოს, შეისწავლოს და გაანალიზოს წარმოდგენილი სახიდე გადასასვლელის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური და ზოგადი სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მახასიათებლები და მონაცემები;
   არსებულ კონცეპტუალურ პროექტზე დაყრდნობით დაამუშაოს დეტალური პროექტი (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედებისა და განსახლების შეფასების და სხვა, კანონდებლობით გათვალისწინებული საკითხების გათვალისწინებით) და წარუდგინოს საზედამხედველო ორგანიზაციას შესათანხმებლად და შემდგომ, შემსყიდველს დასამტკიცებლად;
   საზედამხედველო ორგანიზაციასა და შემსყიდველ ორგანიზაციასთან საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ, განახორციელოს სახიდე გადასასვლელისა და მასთან მისასვლელი გზების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.
5. განსახლება.
   იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული პროექტის ფარგლებში საჭირო გახდა განსახლების გეგმის მომზადება, მიმწოდებელმა წინასწარი შესწვლის გზით უნდა მოახდინოს, მოსალოდნელი ზეგავლენისა და კომპენსაციების გადახდის საჭიროების იდენტიფიცირება და განაახლოს განსახლების სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოში არსებულ ნორმებს და კანონმდებლობას. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის განახლებისათვის მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს სათანადო კვლევები ქვემოთ აღწერილი ეტაპების მიხედვით:

ეტაპი 1. გაანალიზდეს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომელიც ეყრდნობა ტექნიკურ ეკონომიკურ საფუძვლებს და შეიმუშავოს მიდგომები განსახლების კუთხით.

ეტაპი 2. ზემოქმედების არეალში მოქცეული უძრავი ქონების დეტალური აზომვითი სამუშაოების ჩატარება, ნაკვეთის სტატუსის დადგენა (რეგისტრირებული საჯარო რეესტრში; არარეგისტრირებული ლეგალიზებადი; არარეგისტრირებული არარელეგალიზებადი; სახელმწიფო და სხვა.). თითოეული იდენტიფიცირებული ნაკვეთისათვის უნდა შედგეს პირველადი რეგისტრაციის და ნაწილობრივ გამოსყიდვის შემთხვევაში-გამიჯვნის აზომვითი საკადასტრო ნახაზები, ორიგინალური განთვისების ზოლის შესაბამისად, ასევე სახელმწიფოს საკუთრებაში სარეგისტრაციო საკადასტრო აზომვითი ნახაზები, რომელიც უნდა წარმოადგინოს დეპარტამენტში განსახლების გეგმასთან ერთად. ამასთან საკადასტრო აზომვები უნდა განხორციელდეს და რეგისტრაციისათვის/გამიჯვნისვის საჭირო ნახაზები უნდა მომზადდეს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს №388 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.

ეტაპი 3. ზეგავლენის არეალში მოქცეული ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის/მოსარგებლის გადამოწმების/დადგენის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით და ჩართულობით, მათთან კონსულტაციების საფუძველზე და ეყრდნობოდეს მათ მიერ მესაკუთრეების-მოსარგებლეების შესახებ მოწოდებულ ინფორმაციას და შესაბამის დოკუმენტურ მასალას.

ეტაპი 4. დადგენილ მესაკუთრეების/მოსარგებლეების, ადგილობრივი მთავრობის და კონტრაქტორი ორგანიზაციის წარმომადგენლების თანდასწრებით და მათი თანამონაწილეობით (მინიმუმ სამი ან მეტი პირის ხელმოწერით დადასტურებით) ზემოქმედების არეალში მოქცეული თითოეული ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა/ნაგებობების და ნარგავების (არსებობის შემთხვევაში) ინვენტარიზაცია/აღწერა წინასწარ შემუშავებული საინვენტარიზაციო ფორმის გამოყენებით. თითოეული შენობა ნაგებობისათვის აზომვითი ნახაზის მომზადება. საინვენტარიზაციო დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს სხვადასხვა რაკურსით გადაღებული ფოტომასალა (მიწის ნაკვეთების, ღობეების, შენობა–ნაგებობების, ნარგავების და ა.შ.) ციფრული ფოტოკამერით დაფიქსირებული თარიღის მითითებით. ძველი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის მონაცემების განახლება მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

ეტაპი 5. საველე კვლევების/ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული მასალის დამოუკიდებელი, IVS ლიცენზირებული შემფასებელის (ექსპერტის) მიერ დამუშავება, საველე გასვლების საშუალებით მონაცემების ადგილზე გადამოწმება/შესწავლა და თითოეული კატეგორიის მიწისათვის საბაზრო ღირებულების გამოთვლა, ერთწლიანი/მრავალწლიანი კულტურებისათვის, ნარგავებისათვის, შენობა/ნაგებობებისათვის (დანახარჯების მეთოდით), როგორც ერთეული, ასევე ჯამური ღირებულების დადგენა/დაანგარიშება.

ეტაპი 6. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის სამუშაო ვერსიის მომზადება (თითოეული ნაკვეთის მიხედვით მომზადებული შემაჯამებელი ცხრილის და დანართების ჩათვლით). აღნიშნული გეგმის სამუშაო ვერსიის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის წარმოდგენა, შენიშვნების გაზიარება და დამტკიცება. მიმწოდებელმა ასევე უნდა უზრუნველყოს განსახლების სამოქმედო გეგმის შესწორება/კორექტირება განსახლების პროცედურების განხორციელებისას გამოვლენილი ცვლილებების/უზუსტობების აღმოსაფხვრელად შენიშვნა: მიმწოდებელი ვალდებულია მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის საბოლოო ვერსიის შემსყიდველისათვის ჩაბარების შემდგომ 6 თვის განმავლობაში (განსახლების გეგმის განხორციელების პერიოდი) უზრუნველყოს გამოვლენილი ცვლილებების/უზუსტობების შესწორება, დაზუსტება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება. ანგარიშგება სამუშაოების ჩატარების ეტაპზე მიმწოდებელს ევალება მჭიდრო თანამშრომლობა და ინფორმაციის გაზიარება, როგორც საქართველოს საგზაო დეპარტამენტის შესაბამის სამსახურებთან და საჭიროების შემთხვევაში, ასევე საგზაო–საინჟინრო პროექტის (დიზაინის) შემმუშავებელ საპროექტო ორგანიზაციასთან. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის სამუშაო ვერსია:

განსახლების გეგმის სამუშაო ვერსიის და საველე სამუშაოების (აზომვების, ინვენტარიზაციის, გამოკითხვების) შემაჯამებელი ანგარიშის და საინფორმაციო ბროშურის ნიმუში წარმოდგენა;

საჯარო შეხვედრების ოქმები, ფოტომასალები, მოსახლეობის მიერ დასმული შეკითხვები და პასუხები.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შენიშვნების გაზიარება/ანგარიშში ინტეგრირება;

მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის საბოლოო ანგარიში მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის საბოლოო სახით წარმოდგენა, გეგმის შემაჯამებელი საკომპენსაციო ცხრილის წარმოდგენა (რომელიც უნდა მოიცავდეს თითოეულ მიწის ნაკვეთზე საკომპენსაციო გაანგარიშებას), საავტომობილო გზის პროექტის (სრული ორთოფოტო) წარმოდგენა, რომელზეც დატანილი იქნება აზომილი მიწის ნაკვეთები (დანომრილი იქნება თანმიმდევრულად, საპროექტო გზის მიმართულების შესაბამისად) და გზის განთვისების ზოლი (ბუფერი).

თითოეული მესაკუთრისათვის საკადასტრო ნახაზების, საინვენტარიზაციო ფორმების და სოციო–ეკონომიკური კვლევის შედეგების ჩათვლით (დანართების სახით). გეგმა განახლებული უნდა იყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შენიშვნების საფუძველზე.

დანართი 1 განსახლების სამოქმედო გეგმის თეორიული ნაწილი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, შესაბამისი თავებითა და ქვეთავებით:

შემაჯამებელი რეზიუმე

1) პროექტის აღწერა

ა. ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ბ. ზემოქმედების დერეფანი

2) პროექტის შესაძლო ზემოქმედება

ა. პროექტის ზემოქმედების შეჯამება

ბ. ზემოქმედება მიწაზე

გ. ზემოქმედება შენობა-ნაგებობებზე

დ. ზემოქმედება სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე და ხეებზე

ე. ზემოქმედებები ბიზნესზე

ვ. სხვა ზემოქმედება

3) პროექტის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

4) სოციალურ-ეკონომიკური კვლევა

ა. ნაციონალური კონტექსტი

ბ. ადგილობრივი კონტექსტი

გ. პროექტის ზემოქმედების არეალიში მოქცეული მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური ანალიზი

გ.ა. დემოგრაფიული ჭრილი

გ.ბ. შინამეურნეობა

გ.გ. შემოსავალი და ხარჯები

გ.დ. ძირითადი სერვისები

გ.ე. დამოკიდებულება პროექტის მიმართ და მოლოდინები

გ.ვ. მოწყვლადი ოჯახები

5) სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი

ა. საქართველოს კანონები და

6) ინსტიტუციური (ორგანიზაციული) პასუხისმგებლობა

7) განსახლების ღონისძიებები

ა. განსახლების გეგმის საბოლოო ვარიანტის მომზადება

ბ. განსახლების გეგმის განხორციელება

8) შეფასების მეთოდები. დანაკარგის შეფასება და კომპენსაცია

ა. შენობა-ნაგებობების შეფასება დანახარჯების მეთოდით

ბ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების გამოთვლა ანალოგების შედარების მეთოდით

გ. ხეების კომპენსაციის გამოთვლის მეთოდოლოგია

დ. ერთწლიანი კულტურების კომპენსაციის გამოთვლის მეთოდოლოგია

ე. ბიზნესის კომპენსაცია

9) პროექტის ინტეგრაცია

ა. მოსარგებლეების იდენტიფიკაცია

ბ. ინფორმაციის გავრცელება, საჯარო განხილვები, მონაწილეობა და კონსულტაცია.

10) საჩივრების განხილვა

11) განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

12) განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების კალენდარი

13) განსახლების ხარჯები და ბიუჯეტი

დანართი

1. შეფასების მეთოდოლოგია

2. ლეგალიზაციის პროცედურა

3. საინფორმაციო ბროშურა

4. ინფორმაცია საჯარო განხილვებთან დაკავშირებით.

6. საპროექტო სამუშაოები უნდა ეფუძნებოდეს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და ტექნიკურ რეგლამენტებს.

7. კონცეპტუალურ პროექტში რაიმე სახის სამუშაოების გაუთვალისწინებლობა ან/და მასში არსებული ტექნიკური უზუსტობა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს მის მიერ წარმოდგენილი დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის სისრულის, სისწორისა და მოქმედ სამშენებლო ნორმებთან/სტანდარტებთან/თანდართულ სპეციფიკაციებთან შესაბამისობის

პასუხისმგებლობისაგან, როგორც უშუალოდ მშენებლობის, ასევე ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციის თვალსაზრისით.

8. დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის (შემდგომ - პროექტი) შემსყიდველთან შეთანხმება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს პროექტის სისრულისა და სისწორის ან/და პროექტის მოქმედ სამშენებლო ნორმებთან/სტანდარტებთან და თანდართულ სპეციფიკაციებთან შესაბამისობის პასუხისმგებლობისაგან, როგორც უშუალოდ მშენებლობის ასევე ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციის თვალსაზრისით.
9. საპროექტო მომსახურების გაწევის ვადები

ა) მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 20 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს საპროექტო სახიდე გადასასვლელის კონსტრუქციის ტიპი (კონცეპტუალურ პროექტის მიხედვით დამუშავებული ან მისი ალტერნატიული ვარიანტი) და შემოთავაზებული ვარიანტის მიხედვით შესასრულებელი საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობის გეგმა-გრაფიკი.
ბ) მიმწოდებელი ვალდებულია შუალედური ანგარიშის (ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებები) და სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 90 კალენდარული დღის ვადაში.
გ) მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 90 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს განსახლების სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიში
დ) მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 120 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და განსახლების სამოქმედო გეგმა.
ე) მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 150 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს შემსყიდველის მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით (მათი არსებობის შემთხვევაში) დამუშავებული დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა.
ვ) მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 180 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

შენიშვნა:

- <u>მიმწოდებელმა ანგარიშების წარმოდგენა უნდა განახორციელოს ქართულ და შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში ინგლისურ ენაზე, წარმოდგენილი უნდა იყოს ანგარიშების ბეჭდური (4 ეგზემპლარი) და ელექტრონული ეგზემპლარი.</u>
- <u>პროექტის საბოლოო ვერსიის შემსყიდველთან ჩაბარების შემდგომ - მშენებლობის პერიოდში შესაძლო ცვლილებების/უზუსტობების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის შესწორება, დაზუსტება და კორექტირება.</u>

ნაწილი II.

საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 360 კალენდარული დღის ვადით.

1. სამუშაოთა შემადგენლობა

ჩასატარებელ ძირითად სამუშაოთა სახეობები:

- დაკვალვა და კორიდორის გაწმენდა
- მიწის სამუშაოები
- დრენაჟის მოწყობა
- საგზაო სამოსის მოწყობა
- საგზაო აღჭურვილობისა და მონიშვნის მოწყობა
- ვაკისის/ჭრილის ფერდობების დაცვა
- საჭიროების შემთხვევაში არსებული კომუნიკაციების გადატანა

ხიდი:

- მოედნის მომზადება
- ბურჯების მოწყობა
- მალის ნაშენის მოწყობა
- სავალი ნაწილის მოწყობა
- ხიდის აღჭურვილობის მოწყობა
- ხიდის გამოკვლევა-გამოცდა.

2. სამუშაო ადგილის მომზადება და გარემოს დაცვა

- მიმწოდებული ვალდებულია სამშენებლო სამუშაოები აწარმოოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გარემოს მართვის გეგმის შესაბამისად და აგრეთვე უზრუნველყოს ყველა გარემოს დაცვითი პირობების შესრულება რომელიც მოცემული იქნება საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში.
- შეირჩეს სამუშაოთა წარმოების ისეთი წესები და მეთოდები, რაც უზრუნველყოფს არსებული ბუნებრივი პირობების მაქსიმალურად შენარჩუნებას;
- გათვალისწინებული იქნას, აუცილებლობის შემთხვევაში, ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის მოჭრა და მისი დროებითი დასაწყობება შემდგომში გამოყენების მიზნით. შეირჩეს ადგილი მისი გამოყენებისათვის განისაზღვროს ზიდვის მანძილი საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად;
- დაინიშნოს ადგილები საჭიროების შემთხვევაში გრუნტის სანაყაროს მოსაწყობად, განისაზღვროს გრუნტის ზიდვის მანძილები ობიექტამდე;
- საჭიროების შემთქვევაში მოიხსნას დანიშნული კარიერის ნოყიერი ფენა, რომელიც გამოყენებული იქნება შემდგომი რეკულტივაციისათვის;
- სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ მოხდეს დროებით დაკავებული ტერიტორიების (გზებით, სამშენებლო ბაზებით და ა.შ.) რეკულტივაცია;
- სამშენებლო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში, საჭიროა ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, ამისათვის აუცილებელია:
- საავტომობილო გზის შესაბამის ნაკვეთზე საკადასტრო აზომვითი ნახაზის მომზადება (SHP ფაილები);
- სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამოსარიცხ ტერიტორიაზე არსებული მერქნული რესურსების წინასწარი აღრიცხვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- წითელი ნუსხის სახეობებზე (მათი არსებობის შემთხვევაში) დადგენილი წესით ჭრის უფლების მოსაპოვებლად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა.
- იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო გახდა სახელმწიფოს ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის კუთვნილ ტერიტორიებზე ხე-მცენარეების მოჭრის სამუშაოების განხორციელება,

საავტომობილო გზების დეპარტამენტში წარმოადგინოს ხე-მცენარეების მოჭრის სამუშაოების განხორციელებისათვის ნებართვის მოპოვებისათვის საჭირო დოკუმენტაცია.

- სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა. შ.
- სამუშაოების შესრულების პროცესში საავტომობილო გზაზე უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოების და შუქნიშნების დაყენება.

3. სამუშაოთა შესრულების წესი

- შესრულებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია, მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალიზირებულ აკრედიტირებულ ლაბორატორიაში ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალის და შესრულებული სამუშაოების (ასფალტბეტონის, ცემენტობეტონის, ღორღი, ქვიშა და სხვა, საფუძვლის დატკეპნის კოეფიციენტის და დრეკადობის მოდულის განსაზღვრა) ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდა და შემოწმება მათი გამოყენების ვარგისიანობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაოების შესრულების პროცესში შემსრულებელი ვალდებულია წარმოადგინოს გამოყენებული მასალების (არმატურა, ნაგლინი ფოლადი, მინერალური ფხვნილი, ბიტუმი, ცემენტი, საღებავი და სხვა) შესაბამისობის და ხარისხის სერთიფიკატები და ბეტონის და ასფალტობეტონის ნარევების რეცეპტები.
- მიმწოდებლის მასალებს და კონსტრუქციებს უნდა ჰქონდეს პასპორტი ან სერთიფიკატი. მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და სამშენებლო ნორმებს.

4. გეოდეზიური ზედამხედველობა

- მიმწოდებელი თავისი ძალებითა და სახსრებით უზრუნველყოფს მშენებარე ობიექტზე გეოდეზიურ ზედამხედველობას.

5. ნორმატიული დოკუმენტები

მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების შესაბამისად.

6. სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

- სახელშეკრულებო ობიექტზე მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, რომელშიც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალს, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა;
- მოცემულ ჟურნალში, ტექზედამხედველი სისტემატურად, ხოლო შემსყიდველი პერიოდულად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ;
- ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები;
- მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ყველა საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით;
- (სამუშაოთა წარმოების ჟურნალი და სხვა დოკუმენტები უნდა იწარმოოს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად).

7. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

დასრულებული სამუშაოს მიღება ხორციელდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად.

8. სამშენებლო პროცესების გამჭვირვალობა:

საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს პირდაპირი (უწყვეტი) ვიდეოტრანსლაცია სამშენებლო ობიექტიდან, რაც გულისხმობს სამშენებლო უბნებზე შემსყიდველთან შეთანხმებული რაოდენობისა და ტექნიკური პარამეტრების მქონე ვიდეოსათვალთვალო წერტილ(ებ)ის განთავსება. სამშენებლო უბნებზე განთავსებული ვიდეოსათვალთვალო მოწყობილობებიდან ვიდეონაკადი უწყვეტად უნდა მიეწოდოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კუთვნილ სერვერს.

5230/109-42

საბანკო გარანტია N 5709407-10662151

თბილისი 24 სექტემბერი 2019 წელი

ვის: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს** (შემდგომში „ბენეფიციარი“)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION-მა (ს/კ 404878405) შემდგომში ,,პრინციპალმა“ საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის კმ84-კმ98 მონაკვეთზე (კმ 96, კმ 97 და კმ 98) ახალი სახიდე გადასასვლელების პროექტირება-მშენებლობის შესყიდვის (NAT190015249) ტენდერში წარდგენილი თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება, წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ბენეფიციართან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება“) მითითებულ თანხაზე, ჩვენ სს თიბისი ბანკი (მის: საქართველო, ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქ. #7) (შემდგომში „გარანტი“), თანახმა ვართ, გავცეთ პრინციპალის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე საერთო თანხაზე 29947,00 (ოცდაცხრა ათას ცხრაას ორმოცდაშვიდი) ლარი და ვკისრულობთ უპირობო ვალდებულებას (რაც გულისხმობს, რომ საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, მოთხოვნისა და/ან მოთხოვნილი თანხა გადავიხადოთ ყოველგვარი დასაბუთების და ყველანაირი დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულების გარეშე) გადაგიხადოთ ზემოთ აღნიშნული თანხა პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე, ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე (არაუგვიანეს 5 საბანკო დღისა),

წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს ს.ს. "თიბისი ბანკი"ს მარჯანიშვილის ფილიალის კანცელარიაში (მისამართი: კ. მარჯანიშვილის ქ. 7, 0102 თბილისი, საქართველო) სამუშაო საათებში.
წინამდებარე გარანტია ძალაშია: 2022 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე, გარანტის ზემოთ მითითებულ მისამართზე.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობითი უარის თქმითა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებით;
- გარანტის მიერ საგარანტიო თანხის ბენეფიციარისთვის სრულად გადახდით.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

სს თიბისი ბანკის წარმომადგენელი
დავით ნამგალაძე